ი. და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ

E. AND OTHERS v. THE UNITED KINGDOM

საჩივარი N 33218/96

გადაწყვეტილება

26 ნოემბერი 2002

1. ფაქტები

მომჩივნები, , E., H., L. და T. გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეები, დაიბადნენ შესაბამისად 1960, 1961, 1963 და 1965 წლებში და ცხოვრობენ შოტლანდიაში. E., L. და T. არიან დები, ხოლო H. მათი ძმაა. 1965 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ მათმა დედამ თანაცხოვრება დაიწყო W.H. - სთან. ოჯახი ცხოვრობდა დამფრიში ადგილობრივი ხელისუფლების ბინაში.

1976 წლის 16 ნოემბერს, ჩანაწერის მიხედვით E. ნაპოვნი იქნა ზედოზირების შედეგად ნახევრად გონებადაკარგული. სამედიცინო ჩანაწერების მიხედვით E. აცხადებდა, რომ W.H.-მ დაარტყა მას, დაუყვირა და იმდენად გაანაწყენა, რომ თავის მოსაკლავად გაიქცა. 1977 წლის 7 იანვარს, მეორე მომჩივანი, მაშინ 13 წლის ასაკის, გაიქცა სახლიდან მას შემდეგ რაც მისი განცხადებით W.H.-მ მისი გაუპიტიურება სცადა.

1977 წლის 8 იანვარს W.H. დააკავა პოლიციამ და ბრალდება წარედგინა მას E-ზე და L-ზე გარყვნილი თავდასხმისთვის, მან აღიარა დანაშაული, რომელიც E-სა და L-ის მიმართ გარყვნილ ქმედებებს ეხებოდა. აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა არ შეეფარდა და მომჩივანთა განცხადებით დაბრუნდა მათთან საცხოვრებლად. საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა პირობით 2 წლით.

დაახლოებით 1988 წლის ნოემბერში, კონსულტაციის შემდეგ, E., L. და T -მ პოლიციაში განაცხადეს, რომ W.H. არასათანადოდ ეპყრობოდა მათ. ამის შემდეგ W.H-ს წაუყენეს ბრალდება, რომელიც ნასამართლევი იყო E-ს მიმართ განხორციელებული უხამსო ქმედებებისთვის (19 ოქტომბერი 1967-18 ოქტომბერი 1972 და 1 სექტემბერი 1976-18 ოქტომბერი 1976); L-ს მიმართ განხორციელებული სერიოზული ხასიათის უწესო ქმედებებისთვის (28

ივლისი 1968-31 დეკემბერი 1974); და მსგავსი ქმედებებისთვის T-ს მიმართ (28 აგვისტო 1974-27 აგვისტო 1978).

1989 წლის 20 ივლისს, უზენაესმა სასამართლომ W-H.-ს მიუსაჯა 2 წელი თავისუფლების აღკვეთა, რომელიც პირობითად ჩაეთვალა, იმ ცნობების მხედველობაში მიღებით, რომლის მიხედვითაც ის ახლა ცხოვრობდა იორკშირში და რომ უმეტესი აღნიშნული დანაშაულები წინ უსწრებდა მის 1977 წლის ნასამართლობას.

მომჩივნებმა განაცხადეს, რომ სწორედ ამ დროს გაიგეს, რომ 1977 წელს W.H.-ის წინააღმდეგ მიმდინარეობდა სისხლის სამართალწარმოება და მას პირობითი მსჯავრი დააკისრეს იმ პირობით, რომ ის მათთან არ დასახლდებოდა.

დაახლოებით 1992 წლიდან 1993 წლამდე, მომჩივნებმა კომპენსაციისთვის მიმართეს დანაშაულის შედეგად გამოწვეული დაზიანებების კომპენსაციის პროექტს (Criminal Injuries Compensation Scheme) მათ მიერ ძალადობის შედეგად განცდილ ტანჯვასთან დაკავშირებით და განაცხადეს, მათ შორის, შემდეგი:

1. დაახლოებით 1967 წლიდან, 6 ან 7 წლის ასაკიდან, E-ს განმარტებით მან გადაიტანა 10 წლიანი ძალადობა W.H-სგან; ეს უკანასკნელი მას სთხოვდა მასტურბაციას, ურტყამდა, სცემდა და სექსუალურად ძალადობდა მასზე, ის ასევე აიძულებდა მას და სხვებს წელამდე გაშიშვლებას და ერთმანეთის ძაღლის ჯაჭვებით ცემას. იმ დროიდან მას სერიოზული პრობლემები ტანჯავდა, რამდენჯერმე სცადა თავის მოკვლა და განუვითარდა ალკოჰოლთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები. 1992 წლის 24 აპრილის ფსიქიტრიული ცნობის მიხედვით მისი სიმპტომები შეესაბამებოდა მწვავე პოსტრავმული აშლილობის დიაგნოზს.
2. H-მ განაცხადა, რომ დაახლოებით 1967 წლიდან ის W.H.-სგან განიცდიდა ფიზიკურ ძალადობას, თავდასხმასა და ძალადობის მუქარებს. დაახლოებით 6 ან 7 წლის ასაკში W.H. მა დაარტყა კუჭში და მიანარცხა კედელს. 1992 წლის 9 ივნისის ფსიქიატრიული ცნობის მიხედვით მას ჰქონდა ხანგრძლივი ურთიერთობის პრობლემები, დაბალი თავდაჯერებულობა და დიდხანს არსებული პიროვნული სიძნელეები.
3. 1969-1979 წლიდან, L-მ განაცხადა, რომ W.H-სგან განიცდიდა ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას. W.H-მ დაიწყო გარყვინილი ქმედებები მის მიმართ, როცა დაახლოებით 5 ის ან 6 წლის ის იყო. როცა L. უფროსი გახდა, W.H. მას ორალურ სექსს აიძულებდა, ხოლო მას და სხვა ბავშვებს ერთამენითისთვის ძაღლის ჯაჭვებით და მათრახებით ცემას, ხანდახან W.H.

მათ ამაში უერთდებოდა. 11-12 წლის ასაკიდან W.H-მ მასთან რამდენჯერმე სექსუალური კონტაქტი დაამყარა. 1992 წლის ფსიქიატრიული ცნობის მიხედვით, L-ს სიმპტომები მათ შორის კოშმარები და ძილის დარღვევა შეესაბამებოდა მწვავე პოსტრავმული აშლილობის დიაგნოზს.

4. დაახლოებით 1971 წლიდან 1989 წლამდე, T-მ განაცხადა, რომ W.H-სგან განიცდიდა ფიზიკურს და სექსუალურ ძალადობას. ის მას მასტურბაციას აიძულებდა და როდესაც 14 წლის იყო აიძულა მასთან სექსუალური კონტაქტის დამყარება. 1992 წლის 24 აპრილის ფსიქიატრიული ცნობის მიხედვით, T-ს სიმპტომები მათ შორის დაბალი თვითშეფასება, შიში, უნდობლობა და დეპრესია, შეესაბამებოდა მწვავე პოსტრავმატული აშლილობის დიაგნოზს.

დანაშაულებრივი ზიანის კომპენსაციის ორგანომ (CICB) შეფასების საფუძვლეზე E-ს L-ს და T-ს აუნაზღაურა 25000 ფუნტი სტერლინგი (GBP) ზოგადი დაზიანებებისთვის.

1996 წლის 30 იანვარს მომჩივნებმა თხოვნით მიმართეს ადგილობრივი ადმინისტრაციის კომისარს, რომ დაეწყო გამოძიება ადგილობრივი ხელისუფლების გაუფრთხილებლობასთან და უფლებამოსილების არაჯეროვნად განხორციელებასთან დაკავშირებულ მათ პრეტენზიებზე. 1996 წლის 8 თებერვლის წერილით ომბუდსმენმა განაცხადა, რომ იურისდიქცია არ ქონდა.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება

მე-3 მუხლი

სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო არ შეეწინააღმდეგა მომჩვნების საჩივრებს ან არ უდავია, რომ ისინი მცდარი ან დაუსაბუთებელი იყო. დანაშაულის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ორგანოს (The Criminal Injuries Compensation Board) არსებითი კომპენსაცია E-ს, L-ს და T-ს მიმართ, გულისხმობს, რომ პრეტენზიები ხანგრძლივი ძალადობის შესახებ დადასტურებულ იქნა. მართალია, რომ მეორე მომჩივან H-ს მიმართ კომპენსაცია არ გაიცა, და მასთან დაკავშირებული არც ერთი ბრალდება არ წაუყენებიათ W.H-ს წინააღმდეგ, ამასთან არ ჩანდა, რომ H-მ ფიზიკური ძალადობის შესახებ განაცხადა შედარებით გვიან პერიოდამდე. მაგრამ მომჩივნებისდ, მისი დების, განცხადებებმა მხარი დაუჭირეს მის განცხადებებს სახლში ჩადენილი ძალადობისა და ცემის შესახებ და ფსიქოლოგიური ცნობები შეესაბამებოსდა ძლადობის ისტორიას. სასამართლომ დამაჯერებლად მიიჩნია, რომ მომჩივნებმა ზემოთ აღწერილი ძალადობა გადაიტანეს. ასევე არ მიიჩნია, რომ ეს, შეიძლება W.H.-ს დანაშაულებში ბრალის განსაზღვრის თვალსაზრისით იყოს გაგებული, რადგან

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განსხვავდება ამ კონვენციის მიხედვით საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ სოციალურ სამსახურებს უნდა სცოდნოდათ, რომ ოჯახში არსებულმა სიტუაციამ გამოააშკარავა W.H-ს წარსული სექსუალური და ფიზიკური ძალადობის ისტორია და რომ მიუხედავად პრობაციის ბრძანებისა ის აგრძელებდა ახლო კონტაქტს ოჯახთან, მათ შორის ბავშვებთან. თუნდაც სოციალურმა სამსახურმა არ იცოდა, რომ WH. იმ დროს ძალადობდა ბავშვებზე, მას უნდა სცოდნოდა, რომ ბავშვები რისკის ქვეშ რჩებოდნენ. ფაქტი, რომ შესაბამის დროს არ არსებობა ცოდნა სექსუალური მოძალადეების მიერ ბავშვების ოჯახში ვიქტიმიზაციის სიხშირისა და გავრცელების შესახებ, რაც ახლა არსებობს, არ იყო მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში, რადგან სოციალურმა სამსახურებმა იცოდნენ, რომ ადგილი ჰქონდა სექსუალური ძალადობის შემთხვევებს დანაშაულის სახით და ვალდებულნი იყვნენ მონიტორინგი ეწარმოებინათ დამნაშავის ქცევაზე მსჯავრდების შემდეგ. მაინც, სოციალურმა სამსახურებმა ვერ შეძლეს სათანადო ზომების მიღება, რაც საშუალებას მისცემდა მათ აღმოეჩინათ პრობლემის ზუსტი მასშტაბურობა და პოტენციურად, თავიდან აეცილებინათ შემდგომი ძალადობრივი ქმედებები.

სასამართლომ მიიჩნია, რომ შესაბამისი ორგანოების მიერ გამოძიების, კომუნიკაციის და თანამშრომლობის ნაკლებობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მოვლენათა მსვლელობაზე და გონივრული განსჯით, მათი პასუხისმგებლობის სათანადო და ეფექტურ განკარგვას შეიძლება თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა რისკი ან განცდილი ზიანი. შესაბამისად, სახეზე იყო მე-3 მუხლის დარღვევა.

მე-13 მუხლი

სასამართლო შენიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ CICB-მა სამ მომჩივანს გამოუყო კომპენსაცია, Board-ი არ შეიძლებოდა განხილულიყო, როგორც ბავშვების მიმართ გულგრილობის გამო პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი მექანიზმი. ნებისმიერ შემთხვევაში, თუმცა მან კომპენსაცია უზრუნველყო E.L. და T- ს მიმართ, კომპენსაცია არ გაუცია H-ს მიმართ და გაცემულმა კომპენსაციებმა მხედველობაში არ მიიღეს განცდილი ძალადობით წარმოშობილი ქონებრივი დანაკარგი.

მსგავსად ამისა, შესაბამის დროს, ადგილობრივი ხელისუფლების ომბუდსმენის მიმართ წარგენილ საჩივარს შეიძლება გამოეწვია სოციალური სამსახურების მიერ ამ შემთხვევის განკარგვის ცალკეულ ასპექტებთან დაკავშირებული გამოძიება, თუმცა დასკვნები სავალდებულო არ იქნებოდა რადგან ომბუდსმენს მხოლოდ რეკომენდაციების გაცემის უფლებამოსილება ჰქონდა. ამასთან ჩანს, ომბუდსმენმა განაცხადა,რომ მას იურისდიქცია არ გააჩნდა.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს თუ იმოქმედებენ მომჩივნები, მათ შეიძლება მინიმუმ სადავო საფუძვლებით, ეროვნული კანონმდებლობით მოითხოვონ ზრუნვის ვალდებულების განხორციელება, რასაც ზურგს უმაგრებას ადამიანის უფლებათა აქტით გათვალისწინებული შესაძლებლობა, პირდაპირ დაეყრნოდ კონვენციის დებულებებს, სასამართლომ არ მიიჩნია დამაჯერებლად, რომ ეს შესაძლებელი იყო სათანადო დროს, 1996 წელს. ამასთან, სამართლებრივი გადასინჯვის პროცედურა ხელმისაწვდომი იქნებოდა მხოლოდ სოციალური სამსახურების მოქმედებების გასაჩივრებისთვის იმ დროს როცა ისინი განხორციელდა. მომჩივანი ბავშვები არ იყვნენ იმ მდგომარეობაში რომ ასეთი გამოსწორებით ესარგებლათ.

სასამართლომ შესაბამისად დაადგინა, რომ მომჩვნებს მათ განკარგულებაში არ ჰქონდათ შესაბამისი საშუალებები ადგილობრივი ორგანოს მიერ მათი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისგან დაცვის შეუძლებლობასთან დაკავშირებული პრეტენზიების გადაწყვეტისთვის. ამგვარად დაირღვა მე-13 მუხლი.